თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის16 მაისის სხდომის

ოქმი № 6

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 16 მაისს

შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 35 წევრი

სხდომას ესწრებოდა 32 ხმის უფლების მქონე წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზაციის შესახებ
   /დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე/

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

4. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2021 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

5. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ლევან საბაურმა მოითხოვა დღის წესრიგში ერთი საკითხის დამატება, თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი ცვლილების გათვალისწინებით:

1. ეკონომიკისადა ბიზნესის ფაკულტეტის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზაციის შესახებ
/დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე/

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

4. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2021 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

5. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ

6. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზაციის შესახებ

/დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა,პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ, კერძოდ, მიმდინარე სემესტრში სწავლა გაგრძელდება ,,ჰიბრიდული" ფორმატით, როგორც აუდიტორიაში, ისე დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით. თითოეული აკადემიური პერსონალი ჯგუფთან შეთანხმებით ირჩევს მეცადინეობის ფორმას, ისე რომ არ დაზარალდეს არცერთი სტუდენტის ინტერესი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: ა.სილაგაძემ, ე.მექვაბიშვილმა,ასოცირებულმა პროფესორმა მ.ნაცვალაძემ

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლა გაგრძელდება ,,ჰიბრიდული" ფორმატით, როგორც აუდიტორიაში ისე დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით. თითოეული აკადემიური პერსონალი ჯგუფთან შეთანხმებით ირჩევს მეცადინეობის ფორმას, ისე რომ არ დაზარალდეს არცერთი სტუდენტის ინტერესი.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ.ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილებით (№8387/10, 13.04.2022 და №8389/10, 13.04.2022)ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის ბრძანების საფუძველზე მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2004 წლის კურსდამთავრებულ მაია თადიაშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

მაია თადიაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ მაია თამაზის ასული თადიაშვილი 2002 წელს რეიტინგის მონაცემების მიხედვით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბიუჯეტო სექტორის მაგისტრატურის პირველ კურსზე, სპეციალობით: მცენარეული საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობა და კომერცია (ბრძანება №4/939, 25.07.2002).

კომერციის და მარკეტინგის ფაკულტეტის მცენარეული საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობა და კომერცია სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2004 წლის 17 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 30 დეკემბრის №4/1832 ბრძანებით სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საფუძველზე კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ მაია თამაზის ასულ თადიაშვილს მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მცენარეული საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობა და კომერციის სპეციალობით.

2004 წლის დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი MN№03582 (სარეგისტრაციო №01/220) რეგისტრირებულია მაია თადიაშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2004 წელს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საატესტაციო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის 17 ოქმი.

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის(თავმჯდომარე: ე.მ.კ. დოც. ი. კაპანაძე; წევრები: ე.მ.დ. პროფ. ე. ბოლოკაძე, ე.მ.დ. პროფ. მ. ღაღანიძე, ე.მ.დ. პროფ. ა. გაგნიძე, ე.მ.კ. დოც. ნ. ხმალაძე, ე.მ.კ. დოც. ვ. სვანაძე, ე.მ.დ. დოც. ლ. ბახტაძე; მდივანი: ე.მ.კ. დოც. ლ. კოჭლამაზაშვილი)მიერ 2004 წლის 14 ივნისს წარმოებულია 4 სახელმწიფო

საატესტაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს ნომერი მინიჭებული.

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის(თავმჯდომარე: ტ.მ.კ. დოც. სერგო მელაძე; წევრები: ტ.მ.დ. პროფ. გივი მიქელაძე, ტ.მ.კ. დოც. ნოდარ ბაკურაძე, ტ.მ.კ. დოც. დემურ ბახტაძე, ტ.მ.კ. დოც. თენგიზ ცინცაძე, ტ.მ.კ. დოც. მზია წულუკიძე, ტ.მ.კ. დოც. ელენე ტოფაძე, ტ.მ.კ. დოც. ეთერ სარჯველაძე; მდივანი: ტ.მ.კ. დოც. დალი წულაია)მიერ 2004 წლის 17 ივნისს წარმოებულია 5 სახელმწიფო საატესტაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და არც ერთ ოქმს არ აქვს ნომერი მინიჭებული.

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის(თავმჯდომარე: ტ.მ.კ, დოც. თემურ კოპალეიშვილი; წევრები: ე.მ.დ. პროფ. ი. ნადარეიშვილი. ტ.მ.კ. დოც. ი. ადეიშვილი, ე.მ.დ. პროფ. ნ. თოდუა, ტ.მ.კ. დოც. თ. ჯაში, ტ.მ.კ. დოც. ა. ლაშხია, ტ.მ.კ. დოც. ც. ურუტაძე, ტ.მ.კ. დოც. ნ. ბენდუქიძე; მდივანი: ტ.მ.კ. დოც. თ. ბუკია)მიერ 2004 წლის 18 ივნისს წარმოებულია 5 სახელმწიფო საატესტაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი.

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის(თავმჯდომარე: ე.მ.დ. პროფ. ევგენი ბარათაშვილი; წევრები: ე.მ.დ. პროფ. ნუგზარ თოდუა, ე.მ.კ. დოც. ბორის ლაგვილავა, ტ.მ.კ. დოც. მარინა ალანია, ე.მ.კ. დოც. მაია სეთური, ე.მ.კ. დოც. მალხაზ შუბითიძე; მდივანი: ტ.მ.კ. დოც. მ. ვეშაგური) მიერ 2004 წლის 19 ივნისს წარმოებულია 3 სახელმწიფო საატესტაციო კომისიის სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან (დოკუმენტებიდან) ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მიზანშეწონილია ოქმების დანომვრა განხორციელდეს თარიღების მიხედვით. თუ კომისიას ერთი და იმავე თარიღით ექნება რამდენიმე ოქმი წარმოებული, მაშინ მხედველობაში მისაღებია სხვა მონაცემებიც.

ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მიზნითმოხდეს კომერციისა და მარკეტინგის

ფაკულტეტის მიერ 2004 წელს მაგისტრატურის საფეხურზე წარმოებული უნომრო ოქმებისთვის ნომრების მინიჭება, ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ"-ს დამატებადა მიღებული გადაწყვეტილების გავრცელება ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მიერ მარგისტრატურის საფეხურზე 2004 წლის 14 ივნისს, 17 ივნისს, 18 ივნისს და 19 ივნისს წარმოებულ სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 2004 წელს თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად პირველი) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული «საქონელმიმოქცევის ეკონომიკა»,«საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია», «საბირჟო საქმე» და «მასობრივი კვების ეკონომიკა და ორგანიზაცია»სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებები, ამგადაწყვეტილებებშიარსებულიინფორმაციადახარისხის/კვალიფიკაციისმინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებისრეკვიზიტები (ოქმისთარიღიდანომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 14 ივნისი და ოქმის ნომრად №1/პ;
   - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი

სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 14 ივნისი და ოქმის ნომრად №2/პ;

- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საბირჟო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 14 ივნისი და ოქმის ნომრად №3/პ;
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მასობრივი კვების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 14 ივნისი და ოქმის ნომრად №4/პ.

2. აღდგენილად ჩაითვალოს 2004 წელს თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად მეორე) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული «მცენარეული საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობა და კომერცია», «ცხოველური საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობა და კომერცია», «სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო საქმეში», «რძის, რძის ნაწარმისა და ცხიმების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში» და «გემოვანი პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში» სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებები, ამგადაწყვეტილებებშიარსებულიინფორმაციადახარისხის/კვალიფიკაციისმინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებისრეკვიზიტები (ოქმისთარიღიდანომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მცენარეული საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობა და კომერციის სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. მაია თამაზის ასული თადიაშვილი)ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 17 ივნისი და ოქმის ნომრად №1/პ;

- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ცხოველური საკვები პროდუქტების საქონელმცოდნეობის და კომერციის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 17 ივნისი და ოქმის ნომრად №2/პ;
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სასაქონლო ექსპერტიზა და საბაჟო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 17 ივნისი და ოქმის ნომრად №3/პ;
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის რძის, რძის ნაწარმისა და ცხიმების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 17 ივნისი და ოქმის ნომრად №4/პ;
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის გემოვანი პროდუქტების ექსპერტიზა და კომერცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 2004 წლის 17 ივნისი და ოქმის ნომრად №5/პ.

3. აღდგენილად ჩაითვალოს 2004 წელს თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად მესამე) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული «ანტიკვარული საქონლის ექსპერტიზა და მარკეტინგი საერთაშორისო ვაჭრობაში», «სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა

და მარკეტინგი საგარეო ვაჭრობაში», «სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია და ხარისხის მართვა», «სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში» და «კომერცია და სარეკლამო ბიზნესი» სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებები, ამგადაწყვეტილებებშიარსებულიინფორმაციადახარისხის/კვალიფიკაციისმინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებისრეკვიზიტები (ოქმისთარიღიდანომერი) დარჩეს უცვლელი:

- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ანტიკვარული საქონლის ექსპერტიზა და მარკეტინგი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ანტიკვარული საქონლის ექსპერტიზა და მარკეტინგი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 18.06.2004.
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა და მარკეტინგი საგარეო ვაჭრობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა და მარკეტინგი საგარეო ვაჭრობაში სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 18.06.2004.
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია და ხარისხის მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის

რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია და ხარისხის მართვის სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 18.06.2004.

- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სასაქონლო ექსპერტიზა და საბაჟო სამსახურში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის სასაქონლო ექსპერტიზა და საბაჟო სამსახურში სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4, 18.06.2004.
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის კომერცია და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის კომერცია და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №5, 18.06.2004.

4. აღდგენილად ჩაითვალოს 2004 წელს თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული «წარმოების მარკეტინგის», «საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო კომერციული ურთიერთობების», და «მარკეტინგის» სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებები, ამგადაწყვეტილებებშიარსებულიინფორმაციადახარისხის/კვალიფიკაციისმინიჭებისთაობაზემიღებულიგადაწყვეტილებისრეკვიზიტები (ოქმისთარიღიდანომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის წარმოების მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის წარმოების მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 19.06.2004.
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო კომერციული ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო კომერციული ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 19.06.2004.
- კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 19 ივნისის სახელმწიფო საატესტაციოკომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 19.06.2004.

5. ზემოაღნიშნულიპირობებიმიზანშეწონილიაგავრცელდესყოფილიკომერციისა და მარკეტინგისფაკულტეტისმიერ მაგისტრატურის საფეხურზე 2004 წლის 14 ივნისს, 17 ივნისს, 18 ივნისს და 19 ივნისს წარმოებულ სახელმწიფოსაატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომისოქმებშიმითითებულყველაკურსდამთავრებულზედამათდიპლომებშიცვლილებაგანხორციელდებაინდივიდუალურიმომართვისშემთხვევაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკისსამაგისტროპროგრამაშიგანსახორციელებელიცვლილებებისშესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

პროფესორმა ლ. საბაურმა საბჭოს წარუდგინა ცვლილებები, რომელიც უნდა შევიდეს **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“.**

ცვლილებების აღწერა:

ა) სამაგისტრო პროგრამა „ეკონომიკა“ (აკადემიურისაბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებითდამტკიცებულიდანართი 79) (საკრედიტაციო):

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში მომართვებისსაფუძველზეგანხორციელდეს შემდეგიცვლილებები:

1. შეიცვალოს მისაღები შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები, შემდეგნაირად:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის „ეკონომიკის პრინციპები“ საკითხები:

1. თავი 2. ეკონომიკური აზროვნება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 19-34).
2. თავი 4. მოთხოვნა და მიწოდება ინდივიდუალურ ბაზარზე (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 63-82).
3. თავი 5. ელასტიკურობა და მისი გამოყენება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 87-106).
4. თავი 6. მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 111-127).
5. თავი 7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრის ეფექტიანობა. (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 135-150).
6. თავი 13. წარმოების დანახარჯები და მოგება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 155-269).
7. თავი 14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 275-295).
8. თავი 15. მონოპოლია (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 297-322).

9. თავი 23. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 483-501).
10. თავი 24. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 63-82).
11. თავი 26. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 545-563).
12. თავი 28. უმუშევრობა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 581-604).
13. თავი 29. მონეტარული სისტემა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 609-626).
14. თავი 30. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 629-653).
15. თავი 31. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 657-677).
16. თავი 33. ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 701-738).

შენიშვნა: გამოცდა ტარდება ტესტირებით. ტესტების თითოეული ვარიანტი შედგება 50 შეკითხვისგან, მათგან - 25 მიკროეკონომიკის და 25- მაკროეკონომიკის პრინციპებიდან არის აღებული. თითოეულ შეკითხვას აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან ერთი არის სწორი და ფასდება 2 ქულით. გამოცდის ჩასაბარებელი სავალდებულო მინიმუმი შეადგენს 50 ქულას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, წარმოდგენილი ცვლილებები, **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა".**

ცვლილებების აღწერა:

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში მომართვებისსაფუძველზეგანხორციელდეს შემდეგიცვლილებები:

შეიცვალოს მისაღები შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები, შემდეგნაირად:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის „ეკონომიკის პრინციპები“ საკითხები:

1. თავი 2. ეკონომიკური აზროვნება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 19-34).
2. თავი 4. მოთხოვნა და მიწოდება ინდივიდუალურ ბაზარზე (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 63-82).
3. თავი 5. ელასტიკურობა და მისი გამოყენება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 87-106).
4. თავი 6. მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 111-127).
5. თავი 7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრის ეფექტიანობა. (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 135-150).
6. თავი 13. წარმოების დანახარჯები და მოგება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 155-269).
7. თავი 14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 275-295).
8. თავი 15. მონოპოლია (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 297-322).
9. თავი 23. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 483-501).
10. თავი 24. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 63-82).
11. თავი 26. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 545-563).
12. თავი 28. უმუშევრობა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 581-604).

13. თავი 29. მონეტარული სისტემა (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 609-626).
14. თავი 30. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 629-653).
15. თავი 31. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 657-677).
16. თავი 33. ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება (გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. "დიოგენე", 2008. გვ. 701-738).

შენიშვნა: გამოცდა ტარდება ტესტირებით. ტესტების თითოეული ვარიანტი შედგება 50 შეკითხვისგან, მათგან - 25 მიკროეკონომიკის და 25- მაკროეკონომიკის პრინციპებიდან არის აღებული. თითოეულ შეკითხვას აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან ერთი არის სწორი და ფასდება 2 ქულით. გამოცდის ჩასაბარებელი სავალდებულო მინიმუმი შეადგენს 50 ქულას.

მოისმინეს: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2021 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2021 წლის ანგარიში. აღნიშნული ანგარიში საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს,ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2021 წლის ანგარიში.

მოისმინეს:. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს გააცნო ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დირექტორის თ. სხულუხიას წერილი(N 9098/29,20/04/2022),რომლითაც ის ითხოვს : კურსდამთავრებულისთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას: შემდეგი სახით:

I. მიენიჭოს ეკონომიკის კურსდამთავრებული/მაგისტრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისოსკოლის (ISET) 2022 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს: დიპლომი ჩვეულებრივი:

პირადი #	**სახელიგვარი**
01701115543	ლელა ცირგიელი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს, ეკონომიკის კურსდამთავრებული/მაგისტრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისოსკოლის (ISET) 2022 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს: დიპლომი ჩვეულებრივი:

პირადი #	**სახელიგვარი**
01701115543	ლელა ცირგიელი

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ. საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა, საბჭოს წევრებს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2000 წლის კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ხორბალაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **ნიკოლოზ ივანეს ძე ხორბალაძე** 1997 წელს განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტიდან გადმოყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე (ბრძანება №4/723, 09.09.1997).

ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების მაკროეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ხორბალაძეს ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2000 წლის 5 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №9) გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2000 წლის 14 ივლისის №4/680 ბრძანებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2000 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№04819 (სარეგისტრაციო №01/313) რეგისტრირებული ნიკოლოზ ხორბალაძის სახელზე.

წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებს, თან ახლდა ნიკოლოზ ხორბალაძის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი (BN№04819, სარეგისტრაციო №01/313), რომელშიც აღნიშნულია: „1996 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და 2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით მაკროეკონომიკა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

2000 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ნიკოლოზ ხორბალაძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

ნიკოლოზ ხორბალაძის სახელზე მომზადებულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№9, 5.07.2000) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/680, 14.07.2000) მინიჭებულ ხარისხთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №9, 5.07.2000) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს (მ.შ. ნიკოლოზ ხორბალაძე) მინიჭებული ხარისხის „ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“.

პროფესორმა ლ. საბაურმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა დაზუსტდეს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №9, 5.07.2000) გადაწყვეტილება და ნიკოლოზ ხორბალაძეს მინიჭებული ხარისხის „ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“.აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№9, 5.07.2000) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთვრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №9, 5.07.2000)

გადაწყვეტილება და ნიკოლოზ ხორბალაძეს მინიჭებული ხარისხის „ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში მითითებულ დღის სწავლების მაკროეკონომიკის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №9, 14.07.2000) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ფალანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე